ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს წევრთა ელექტრონული გამოკითხვის შედეგები
ოქმი №3

თბილისი, 12 თებერვალი, 2026 წელი

გაცნობისა და ელექტრონული გამოკითხვის ჩატარების საფუძველზე დამტკიცების მიზნით, საბჭოს წევრებს გაეგზავნათ დღის წესრიგი და შესაბამისი მასალები

დღის წესრიგი

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსით დაფინანსებული პროექტებისა და მათი ბიუჯეტების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ასოცირებული პროფესორის მ. ლობჟანიძე/

გაცნობისა და ელექტრონული გამოკითხვის ჩატარების საფუძველზე **დამტკიცების** მიზნით, საბჭოს წევრებს გაეგზავნათ ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ასოცირებული პროფესორის მ. ლობჟანიძის ინფორმაცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსით დაფინანსებული პროექტებისა და მათი ბიუჯეტების შესახებ. მისი ინფორმაციით:

2025 წლის 25 დეკემბერს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის #28/29-01 ბრძანებით გამოცხადდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსი. 2026 წლის 4 თებერვალს ჩატარდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიმღები საკონკურსო კომისიის სხდომა.

საკონკურსო კომისიის დაგაწყვეტილებით დაფინანსდა შემდეგი პროექტები და თითოეული პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად კონკურსის პირობებისა და ჩატარების წესის“ შესაბამისად:

1. პროექტი: **„ანტიკორუფციული პოლიტიკა და მისი ეფექტიანი განხორციელების ეკონომიკური ინსტრუმენტები საქართველოში“.** სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ გველესიანი. პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 9000 ლარით;
2. პროექტი: **„მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევების მაკროეკონომიკური გამოწვევები და გადაჭრის გზები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში“.** სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გივი

ბედიანაშვილი. პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 9000 ლარით;

3. პროექტი: **„ციფრული ტექნოლოგიების გავლენა მმართველობითი პროცესების ეფექტიანობაზე (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგალითზე)“** სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ნარმანია. პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 7000 ლარით;

4. პროექტი: **„ურბანული ტრანსფორმაცია, აგლომერაციის ეფექტები და სოციალური უთანასწორობა საქართველოში: რაოდენობრივი კვლევა“.** სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლია თოთლაძე. პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 7000 ლარით;

5. პროექტი: **„სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენის ეკონომეტრიკული მოდელირება“** სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო მიქიაშვილი. პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 7000 ლარით;

6. პროექტი: **„სტუდენტთა დამოკიდებულების კვლევა ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციაზე სასწავლო პროცესში მონაწილეთა უფლება - მოვალეობების განაწილება“.** სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე. პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 7000 ლარით;

7. პროექტი:**“საქართველოს ჩართულობა რეგიონულ ეკონომიკურ ქსელებში: ტენდენციები, გამოწვევები და შესაძლებლობები“.** სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლელა ჯამაგიძე. პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 7000 ლარით;

8. პროექტი: **“მოქალაქეებზე ორიენტირებული მდგრადი საჯარო პოლიტიკა”.** სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი. პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 7000 ლარით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ელექტრონული თანხმობა განაცხადა საბჭოს 23--მა წევრმა.

დადგინეს: დამტკიცდეს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული **პროექტები და მათი ბიუჯეტები წარმოდგენილი სახით;**

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

დეკანი, პროფესორი **ღაღანიძე**

მდივანი, ასოცირებული პროფესორი **ლ. თოთლაძე**